



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 144

2016 წლის 13 ივლისი

ქ. თბილისი

„უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების 2016 წლის კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების მოხსნის შესახებ“

„უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N88 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, „2016 წლის უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 25 აპრილის N79 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის, დავით ჩიჩუას 2016 წლის 12 ივლისის სამსახურებრივი ბარათის (N8600457) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტის კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საპროექტო განაცხადები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2016 წლის 13 ივლისის №144 ბრძანებით

უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევების 2016 წლის
კონკურსიდან მოხსნილი საპროექტო განაცხადები

N	შიფრი	პროექტის სახელწოდება	წამყვანი ორგანიზაცია	შენიშვნა
1	DI-2016-42	დნმ ალდგენის ინჰიბიტორები როგორც სიმსივნის სპეციფიკური ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	თანამონაწილე ორგანიზაცია არის მიჩიგანის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი
2	DI-2016-38	ტუბერკულოზის, მათ შორის მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის გავრცელების დინამიკის შესწავლა საქართველოში	საქართველოს ფთიზიოლოგთა და პულმონოლოგთა ასოციაცია, თბილისი, საქართველო	ფონდის მიერ დადგენილ ვადაში არ არის წარმოდგენილი დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტები
3	DI-2016-15	მიზანმიმართული გამოთავისუფლების უნარის მქონე ახალი ცილენგიტიდ-მულტი-მედიკამენტური კონიუგატების შემუშავება ადამიანის მეტასტაზური მელანომის სამკურნალოდ	სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფიზიკური და ანალიზური ქიმიის ინსტიტუტი	ქართული და ინგლისური ბიუჯეტები არ ედრება ერთმანეთს მე-3 ტრანშიში (საქონელი და მომსახურების მუხლი). განსხვავებულია ფონდიდან მოთხოვნილი თანხაც. განცხადებაში ფონდიდან მოთხოვნილი თანხა სხვა მითითებული
4	DI-2016-24	ღრმად მდებარე სიმსივნის მაგნიტური ნაწილაკებით ჰიპერთერმია: გრიგალური დენების ეფექტების შესწავლა და მინიმიაზაცია	ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ინგლისური ვერსიაში ბიუჯეტის დასაბუთება არ არის წარმოდგენილი.
5	DI-2016-31	ვირუსები შავ ზღვაში: მრავალფეროვნება, თანასაზოგადოებების დინამიკა და ვირუს-მასპინძლის ურთიერთქმედებანი	გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი	ხელფასების ლიმიტი დარღვეულია მე-2 და მე-3 წელს.
6	DI-2016-44	მულტიდისციპლინარული კვლევები კლიმატური ცვლილებით გამოწვეული გეომაგნიტური ველის ვარიაციების შესწავლის მიზნით	ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტი, ჰიდროგეოფიზიკისა და გეოფიზიკის კვლევითი ცენტრი	ხელფასების ლიმიტი დარღვეულია სამივე წელს. ბიუჯეტი გაწერილია თეთრის სიზუსტით რაც მხოლოდ ჯამურ თანხაში ჩანს. ქართული ბიუჯეტის დასაბუთება არ არის წარმოდგენილი.